

გენდერული თანასწორობის
მუნიციპალური სამოქმედო
გეგმების შემუშავების
სახელმძღვანელო

2021



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

სარჩევი

1. შესავალი.....	4
2. ძირითადი პრინციპები.....	6
2.1. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.....	6
2.2. არსებითი თანასწორობა ფორმალური თანასწორობის ნაცვლად.....	7
2.3. გენდერული უთანასწორობა და ჯვარედინი დისკრიმინაცია - არავინ დარჩეს პროცესის მიღმა.....	7
3. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავება.....	8
3.1. სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები.....	8
3.2. სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპები.....	9
3.2.1. დოკუმენტის ინიცირება და სამუშაო ჯგუფი.....	10
3.2.2. სიტუაციის ანალიზი.....	10
3.2.3. სტრატეგიული ჩარხო: მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები.....	11
3.2.4. სტრატეგიული ჩარხო: აქტივობები.....	12
3.2.5. ბიუჯეტირება.....	12
3.2.6. საჯარო კონსულტაციები.....	12
3.2.7. დოკუმენტის დამტკიცება.....	12
4. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პრიორიტეტები.....	13
4.1 ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....	13
4.2 ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა.....	14
4.3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.....	15
4.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.....	15
4.5 გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება.....	15
4.6 გენდერული ბიუჯეტირება.....	16
4.7 გენდერული მონაცემები.....	16
4.8 თანამშრომლობა და კოორდინაცია.....	17
5. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება.....	18
დანართი 1. სიტუაციის ანალიზისთვის ფოკუსური დისკუსიის ჯგუფების ფასილიტაციის გზამკვლევის ნიმუში.....	19
დანართი 2: სამოქმედო გეგმის ნიმუში.....	23

1. შესავალი

გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიღწევის პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში გენდერული თანასწორობის ლოკალიზაციის პროცესი 2016 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოები, განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები და შემუშავდა გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები¹, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელობას განამტკიცებს ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ², რომელიც ევროპული მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭომ 2006 წელს მიიღო. ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მოუწოდებს, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნით სპეციალური სამოქმედო გეგმები შეიმუშავონ და მათი ეფექტიანად განხორციელებისთვის შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსები უზრუნველყონ.

2020 წელს, სახალხო დამცველმა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოთა გენდერული პოლიტიკის შეფასების ანგარიში შეიმუშავა.³ კვლევის ფარგლებში სახალხო დამცველმა შეისწავლა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ლოკალიზაციის მიღწევები და გამოწვევები, რომელთა შორის სპეციალური აქცენტი გენდერული

თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების ეფექტიანობის შეფასებაზე გაკეთდა. ანგარიშის თანახმად, ბოლო წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან, გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისკენ მიმართული არაერთი აქტივობის მიუხედავად, პრობლემად რჩება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სისტემატიზებული და საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. სახალხო დამცველმა, ასევე, მიიჩნია, რომ გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები, ძირითადად, ფორმალური ხასიათისაა და სათანადოდ ვერ ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად კი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.

გარდა ამისა, როგორც სახალხო დამცველი, ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) შუალედურ შეფასებაში აღნიშავს, მუნიციპალიტეტების მუშაობა ძირითადად დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობაზეა დამოკიდებული. მუნიციპალიტეტებისთვის სირთულეს წარმოადგენს ქალების საჭიროებებისა და როლის დანახვა.

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის გაუმჯობესებისთვის, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (ათეა), გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით⁴, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო შეიმუშავა. აღნიშნული დოკუმენტი საერთაშორისოდ აღიარებულ ჩარჩოებსა და პრინციპებს ეფუძნება და წარმოადგენს სარეკომენდაციო ინსტრუქციას თვითმმართველი

¹ აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მიღებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა ა/ო „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“.

² ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ, 2006. ხელმისაწვდომია: https://www.ccre.org/docs/charte_egalite_en.pdf

³ საქართველოს სახალხო დამცველი, 2019. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/adgilobrivi-tvitmartvelobis-organoebis-genderuli-politikis-shefaseba-spetsialuri-aktsentit-kalta-ekonomikur-gadzlierebase>

⁴ ინიციატივა განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“

ერთეულებისთვის გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

სახელმძღვანელო, ასევე, ეფუძნება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციას, კანონს გენდერული თანასწორობის შესახებ, კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კანონს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ და საქართველოს ორგანულ კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

სახელმძღვანელო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებს, რომელთაც საქართველოც იზიარებს. მათ შორისაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მისი დამატებითი ოქმი და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები; ასევე, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 და მისი თანმდევი რეზოლუ-

ციები, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ.

სახელმძღვანელო, ასევე, ეფუძნება შედეგებზე ორიენტირებული მართვის პრინციპებს, რომლებსაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის დადგენილება #629 - პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, განამტკიცებს. დოკუმენტის შემუშავებაში აქტიურადაა გამოყენებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, ასევე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტის საშუალო-ვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში გაწერილი ინსტრუქციები.

დოკუმენტში ასახული ინსტრუქციები სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარებას საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებთან შესაბამისი, საჭიროებებზე დაფუძნებული გენდერული თანასწორობის მუნიციპალური გეგმების შემუშავებაში, რათა ხელი შეეწყოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პოლიტიკის ეფექტიან ლოკალიზაციას საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტში.

2. ძირითადი პრინციპები

2.1. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

რეკომენდაციები:

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები უნდა ეფუძნებოდეს მიდგომას, რომლის თანახმადაც, გენდერული უთანასწორობა ადამიანის უფლებების დარღვევაა;
- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოებით განმტკიცებულ ვალდებულებებს უნდა პასუხობდეს.

გენდერული უთანასწორობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართულია გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და ჩარჩოებს უნდა ეფუძნებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება სწორედ ამ მიდგომების შესაბამისად წარიმართოს.

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ ჩარჩოებს უნდა ეფუძნებოდეს, მათ შორის: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო და ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გეგმები შემუშავდეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე არსებული საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოებით განმტკიცებული ვალდებულებების შესაბამისად, კერძოდ:

- ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მისი დამატებითი ოქმი და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია);
- პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;
- მოსახლეობისა და განვითარების კაიროს საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამა და მისი განხორციელების 20 წლის-თავზე მიღებული რეგიონული და გლობალური დოკუმენტები;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 (2000) და მისი თანმდევი რეზოლუციები 1820 (2008), 1888 (2008), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019) და 2493 (2019);
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები;
- ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ.

საერთაშორისო ვალდებულებებთან ერთად, მნიშვნელოვანია, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების იმ ვალდებულებებს პასუხობდეს, რომლებსაც ითვალისწინებს: საქართველოს კონსტიტუცია, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ და საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ.

2.2. არსებითი თანასწორობა ფორმალური თანასწორობის ნაცვლად

რეკომენდაციები:

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით განმტკიცებულ არსებითი თანასწორობის მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს;
- არსებითი თანასწორობის მიდგომის განხორციელებისთვის გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები სპეციალურ ზომებს უნდა შეიმუშავებდეს არსებული დისკრიმინაციისა და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წელს მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომელიც ძალაში 2018 წლის 1 იანვარს შევიდა, კონსტიტუციით განმტკიცებული ფორმალური თანასწორობის მიდგომა შეცვალა და კონსტიტუციის დონეზე დაამკვიდრა არსებითი თანასწორობის მიდგომა. საქართველოს კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციის მე-11 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“ ამ ცვლილების მიხედვით, სახელმწიფომ აღიარა, რომ თანასწორობის მისაღწევად დისკრიმინაციის ფორმალური აკრძალვა საკმარისი არ არის და არსებითი (დე ფაქტო) თანასწორობის მისაღწევად სპეციალური ზომების შემუშავების ვალდებულება აიღო.

მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები არ შემოიფარგლოს თანასწორობის ფორმალური მიდგომით, აღიარებდეს არსებითი თანასწორობის კონსტიტუციური მოდელის სულისკვეთებას და

სპეციალურ ღონისძიებებს მოიცავდეს სისტემური უთანასწორობის, მისი ძირეული მიზეზებისა და შედეგების აღმოსაფხვრელად.

2.3. გენდერული უთანასწორობა და ჯვარედინი დისკრიმინაცია - არავინ დარჩეს პროცესის მიღმა

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები უნდა ითვალისწინებდეს, რომ ქალებისა და გოგოების გარკვეული ჯგუფები დისკრიმინაციის ჯვარედინ ფორმებს განიცდიან;
- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები სპეციალურ, საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებს უნდა მოიცავდეს ჯვარედინი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

ქალებისა და გოგოების გარკვეული ჯგუფები დისკრიმინაციის ჯვარედინ ფორმებს განიცდიან. გარდა მათი გენდერისა, დისკრიმინაციის მსხვერპლი ისინი, შეიძლება, გახდნენ რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, რასობრივი კუთვნილების, სოციალური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, სტიგმატიზებულ საქმიანობაში ჩართულობისა და სხვა საფუძველზე.

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინება, რომ ქალები და გოგოები არ წარმოდგენენ ერთგვაროვან ჯგუფს, რომ ისინი ხშირად განიცდიან ჯვარედინ დისკრიმინაციას და მხოლოდ ინდივიდუალური, საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომით შეიძლება თანაბარი შედეგების მიღება ქალების განსხვავებული ჯგუფებისათვის (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები და სხვა).

3. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავება

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავება შედეგებზე დაფუძნებული მართვის პრინციპების შესაბამისად უნდა ხდებოდეს. სასურველია, რომ გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავება დაეფუძნოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებას N629; ასევე, რეკომენდებულია, რომ აღნიშნული პროცესი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში განვირეოთ ინსტრუქციების მიხედვით წარიმართოს.

დიაგრამა 1. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა



1-3 წელი

3.1. სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები

რეკომენდაციები:

- სამოქმედო გეგმები უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიას და ეხმიანებოდეს მასში დეკლარირებულ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნებსა და ამოცანებს;
- სასურველია, რომ გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებთან იყოს ჰარმონიზებული. ასეთი დოკუმენტებია ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმა, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის პრინციპებს;
- სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს შედეგებზე დაფუძნებული მართვის პრინციპებს;
- სამოქმედო გეგმის შემუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაწილეობითი პროცესი და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა;
- სამოქმედო გეგმა, სულ მცირე, პირველ დიაგრამაზე წარმოდგენილ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს. თუმცა, მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, სხვა სახის ინფორმაცია დაემატოს.


3.2. სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპები⁵

რეკომენდაციები:

- სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც საკრებულოს დებულებით დამტკიცდება. სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება სამოქმედო გეგმების შემუშავების ყველა ეტაპის ეფექტიანად და დროულად განხორციელებაზე;
- სამუშაო ჯგუფის მუშაობისთვის უნდა განისაზღვროს კონკრეტული ვადა. სასურველია, ეს ვადა სამ თვეს არ აღემატებოდეს;
- სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ მექანიზმებს შორის აქტიური კოორდინაციით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს;

- სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: სიტუაციის ანალიზი, მიზნების, ამოცანების, ინდიკატორებისა და საქმიანობების განსაზღვრა, ბიუჯეტირება, საჯარო კონსულტაციების გამართვა და დამტკიცება;
- სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი მონაწილეობითობის პრინციპების შესაბამისად უნდა წარიმართოს; შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა მოთამაშეების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების, ქალთა ორგანიზაციებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობა.

დიაგრამა 2. პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი⁶



⁵ აღნიშნული თავი მთლიანად ეფუძნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს.

⁶ დიაგრამა ეკუთვნის საქართველოს მთავრობის 2019 წლის #629 დადგენილებით დამტკიცებულ პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს.

3.2.1. დოკუმენტის ინიცირება და სამუშაო ჯგუფი

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ინიციატორია **გენდერული თანასწორობის საბჭო**. იგი ქმნის დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელ დაგეგმვის მექანიზმს - სამუშაო ჯგუფს, რომელიც საკრებულოს დებულებით დამტკიცდება. ჯგუფში ერთიანდებიან მერიის/საკრებულოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეები. სამუშაო პროცესი გენდერზე პასუხისმგებელ პირსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს შორის აქტიური კოორდინაციით უნდა დაიგეგმოს. სასურველია, რომ გენდერზე პასუხისმგებელ პირთან ერთად, პროცესში მერიაში გენდერის საკითხების კურატორი მოადგილეც ჩაერთოს.

3.2.2. სიტუაციის ანალიზი

სიტუაციის ანალიზი მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ძირითადი ტენდენციების, პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და ანალიზს გულისხმობს. სიტუაციის ანალიზი მოიცავს სამაგიდე კვლევას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და გაანალიზებას (მოსახლეობის აღწერის მონაცემები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სხვა რაოდენობრივი მონაცემები, ადმინისტრაციული - სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების მიერ დამუშავებული მონაცემები).

სიტუაციის ანალიზის ფარგლებში მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და ჩატარდეს ფოკუსური ჯგუფის ტიპის შეხვედრები დაინტერესებული მხარეებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან. ასეთი შეხვედრების მიზანია მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების კუთხით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება. სასურველია, რომ შეხვედრები შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან გაიმართოს:

1. მუნიციპალიტეტში მომუშავე არასამთავრობო

ვრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებული ფოკუსით იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მუშაობენ;

2. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მუშაობენ;

3. მუნიციპალიტეტში მომუშავე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მუშაობენ (მაგ. სკოლა, პოლიცია, სოციალური სამსახურები, იურიდიული დახმარების ცენტრები, სახელმწიფო თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები ძალადობის მსხვერპლებისთვის);

4. თემის ლიდერები, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები - ქალები, კაცები, ბიჭები და გოგონები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებიდან. სიტუაციის ანალიზის ფოკუსური დისკუსიის ჯგუფების ფასილიტაციისთვის შემუშავებული სანიმუშო გზამკვლევი იხილეთ დანართში (დანართი 1).

სიტუაციის ანალიზის შედეგად, შესაძლებელი უნდა იყოს პასუხის გაცემა შემდეგ ძირითად კითხვებზე:

- რა სახის პრობლემებთან გვაქვს საქმე?
- როგორია პრობლემების გავრცელების მასშტაბი (ზომა)?
- რა ფაქტორები შეიძლება იწვევდეს აღნიშნულ პრობლემებს?
- რა არის პრობლემების წარმოშობის სიხშირის ალბათობა?
- ვისზე და რაზე ახდენს ეს პრობლემები გავლენას?
- ვის გააჩნია უნარი და შესაძლებლობა, ყველაზე ეფექტურად მართოს ან გადაჭრას ეს პრობლემები?

ფინანსური და ტექნიკური რესურსების არსებობის შემთხვევაში, რეკომენდირებულია სიტუაციის ანალიზისთვის სხვა ისეთი ჩარჩოების გამოყენებაც, რომლებიც არსებული საჭიროებების რაოდენობრივი შეფასების საშუალებას იძლევა.

შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მზადდება სიტუაციის ანალიზის თავი. სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ განისაზღვრება სამოქმედო გეგმის მიზნები, ამოცანები და შესაბამისი შედეგების ინდიკატორები.

3.2.3. სტრატეგიული ჩარჩო: მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენის საფუძველზე სამოქმედო გეგმის ე.წ. სტრატეგიული ჩარჩო იქმნება. ამ ნაწილში წარმოდგენილია ხედვა, მიზნები და ამოცანები, გავლენისა და ამოცანების შედეგების ინდიკატორები. სამოქმედო გეგმის ეს ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან სტრატეგიული მიდგომები და პრიორიტეტები სწორედ აქ ყალიბდება. სტრატეგიული ჩარჩოს ნიმუში წარმოდგენილია დანართში (დანართი 2).

ხედვის, მიზნებისა და ამოცანის განსაზღვრასთან ერთად, სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში პროგრესის ინდიკატორები უნდა შემუშავდეს. ინდიკატორი არის რაოდენობრივი ან ხარისხობრი-

ვი ფაქტორი/ცვლადი - მარტივი, მაგრამ სანდო საშუალება, რომ გაიზომოს მიღწევები, ასახოს ინტერვენციასთან დაკავშირებული ცვლილებები და პასუხისმგებელი უწყების საქმიანობა შეფასდეს. ინდიკატორები, შეიძლება, იყოს **რაოდენობრივი** და **ხარისხობრივი**. მთავარი განსხვავება მათ შორის შედეგების გაზომვის დაანგარიშების მეთოდოლოგიაა. ორივე მათგანის გამოყენება სასურველია.

ინდიკატორები შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. კონკრეტული - ინდიკატორი უნდა იყოს ვინაშით, კონკრეტული და ნათელი;
2. გაზომვადი - ინდიკატორის შინაარსი პროგრესის გაზომვის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს;
3. მიღწევადი - ინდიკატორი უნდა იყოს მიღწევადი და რეალისტური და არა ზედმეტად ამბიციური;
4. შესაბამისი - ინდიკატორი უნდა ზომავდეს პირდაპირ/უშუალოდ ცვლილებას და მის მნიშვნელოვან მახასიათებლებს;
5. დროში განერილი: ინდიკატორი დროში უნდა იყოს განერილი იმგვარად, რომ ჩანდეს მისი მიღწევის დრო. ამ უკანასკნელს უზრუნველყოფს ლოგიკურ ჩარჩოში წლებისა და მაჩვენებლების მითითების შესაძლებლობა საწყისი, შუალედური და საბოლოო სამიზნე ინდიკატორებისთვის.

ინდიკატორების მაგალითები:

მიზანი	ინდიკატორი
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში	<p>მუნიციპალიტეტში, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა</p> <p>საბაზისო: 0 სამიზნე: 6</p>

ამოცანა

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის რეაგირების, აღმოჩენის, პრევენციის გაძლიერება მუნიციპალიტეტებში

ინდიკატორი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების მონაწილეთა რაოდენობა

საბაზისო: 4

სამიზნე: 10

3.2.4. სტრატეგიული ჩარჩო: აქტივობები

სამოქმედო გეგმაში დეტალურად უნდა აღინე-როს აქტივობები, რომლითაც გედნერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები მიიღწე-ვა. სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობები უნდა ასახავდეს მუნიციპალიტეტის მიერ და-გეგმილ კონკრეტულ პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც სტრატეგიულ ნაწილში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანე-ბის მიღწევას ემსახურება.

სამოქმედო გეგმის შაბლონი (სტრუქტურა) და შევსების დეტალური ინსტრუქცია მოცემულია სამინისტროს მიერ შემუშავებულ სახელმძღვა-ნელოში. იგი თან ერთვის ამ სახელმძღვანელოს და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

3.2.5. ბიუჯეტირება

სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად მნიშვნე-ლოვანია მისი ხარჯის წინასწარი დადგენა, ასე-ვე, ამ ხარჯების დაფარვის შესაძლო გზების გან-საზღვრა. ამ პროცესს ბიუჯეტირება ეწოდება. ხარჯთაღრიცხვის მეთოდოლოგია დეტალურა-დაა წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქ-ტიკულ სახელმძღვანელოში.

3.2.6. საჯარო კონსულტაციები

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური

სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე საჭიროა მისი საჯაროდ განხილვა. საჯარო კონსულ-ტაციები ე.წ. town hall-ის (ფართომასშტაბიანი შეხვედრები, კრებები) ფორმატში ტარდება. ასეთი შეხვედრების გარდა, რომლებსაც ად-გილობრივი მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა ორგანიზაციები-სა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ქალები, ახალგაზრდები, შშმ პირები, საჯარო მოხელეები, თემის ლიდერები და სხვა დე-მოგრაფიული, აკადემიური თუ სამეცნიერო ჯგუფები ესწრებიან, შესაძლებელია, ცალკე შეხვედრები გაიმართოს ადგილობრივ სა-ბჭოებთან (მაგ.: სამოქალაქო მრჩეველთა, ახალგაზრდული, გენდერული თანასწორო-ბის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ-თა და სხვა საბჭოები).

დოკუმენტის საჯარო კონსულტაციების გარეშე დამტკიცება დაუშვებელია.

3.2.7. დოკუმენტის დამტკიცება

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწ-ყებამდე, გენდერული თანასწორობის საბჭო დოკუმენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს. **საკრებულოს** სხდომამდე სა-კითხი საკრებულოს კომისიებმა უნდა განიხი-ლონ. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობასა და დაინტერესებულ მხარეებს განხილვებზე დასწრების შესაძლებლობა მიეცეთ. დოკუმენ-ტი საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით მტკიცდება.

4. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პრიორიტეტები

რეკომენდაციები:

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმები უნდა ასახავდეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოებით განმტკიცებულ პრიორიტეტებს;
- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს მონაცემების ანალიზზე დაფუძნებით, კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის, გამოწვევებისა და საჭიროებების შესაბამისად;
- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების პრიორიტეტების განსაზღვრა მონაწილეობითობის პრინციპების შესაბამისად უნდა წარიმართოს; პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების, ქალთა ორგანიზაციებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობა.

4.1 ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია. წარმომადგენლობასთან ერთად, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერულად მგრძობიარე ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

2021 წლის მონაცემებით, ქალები საქართველოს საკრებულოს წევრთა მხოლოდ 13.4%-ს⁷ შეადგენენ 64 მუნიციპალიტეტიდან და მხოლოდ 1 მერია ქალი. აღნიშნული ციფრები ცხადს ხდის, რომ ადგილობრივ დონეზე უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობა ძალიან დაბალია. მართალია, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებაში არ შედის ამ დისბალანსის აღმოფხვრა, თუმცა, მათ კონკრეტული მექანიზმები გააჩნიათ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდეს ქალების მონაწილეობას საჯარო განხილვებსა და სხვადასხვა ტიპის შეხვედრებში, მათ შორის საკრებულოს სხდომებსა და სოფლის კრებებზე, სადაც მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები განიხილება და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობენ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შეხვედრებზე ქალების მიერ წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება მოხდეს პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში. სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასების ანგარიშის⁸ მიხედვით, ამ მიმართულებით პრობლემურია ქალების უარყოფითი გამოცდილება მუნიციპალიტეტთან ურთიერთობისას, რომლის დროსაც აქცენტი კეთდება თვითმმართველობების მხრიდან ქალთა პრობლემების დაინტერესების ნაკლებობაზე, ასევე, საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობაზე. აღსანიშნავია, რომ ქალთა ჩართულობა განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ქალები კიდევ უფრო მონყვეტილი არიან გადაწყვეტილების მიღების სივრცეებს. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტები აქტიურად რთავდნენ ქალებს, მათ შორის ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და აქტივისტებს, პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

⁷ 2021 წლის მონაცემების თანახმად, 1973 საკრებულოს წევრიდან 265 ქალია.

⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, 2019. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/adgilobrivi-tvitmmartv-elobis-organoebis-genderuli-politikis-shefaseba-spetsialuri-aktsentit-kalta-ekonomikur-gadzlierebase>

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. მუნიციპალური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვაში ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ქალთა ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
2. მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ საჯარო კონსულტაციების გამართვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ჯგუფებთან.

4.2 ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა გამოწვეულია გენდერული უთანასწორობით და ამავე დროს ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.⁹ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა გამოწვევაა საქართველოშიც, სადაც 2017 წლის საქსტატის მონაცემებით, 4-დან 1 ქალს გამოუცდია გენდერული ნიშნით ძალადობის რაიმე ფორმა, ხოლო 7-დან 1 ქალს ძალადობა გამოუცდია ოჯახში მეუღლის/პარტნიორის მხრიდან. ქალთა 9%-ს კი სექსუალური ძალადობა გამოუცდია ბავშვობაში¹⁰. საქართველოში, ასევე, ფართოდაა გავრცელებული ე.წ. საზიანო პრაქტიკები, როგორცაა ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება და გენდერული ნიშნით ნაყოფის სქესის შერჩევა. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთის პრაქტიკაც გამოვლინდა¹¹.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრაში ადგილობრივ თვითმართველობას მნიშვნელოვანი როლი აქვს როგორც ძალადობის პრევენციის, ისე მასზე რეაგირების კუთხით. პრევენციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გავრცელებაზე, მიზეზებზე, შედეგებსა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ

მუნიციპალიტეტი მოსახლეობას მუდმივად აწვდიდეს ინფორმაციას მსხვერპლთათვის არსებული ისეთი მომსახურებების შესახებ, როგორცაა ძალადობის ცხელი ხაზი, სახელმწიფო თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, უფასო იურიდიული დახმარება და ა.შ.

რეაგირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დახმარების მიზნით, ეფექტური პროგრამების განხორციელება. მათ შორის, მსხვერპლთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის, არსებულ მომსახურებებზე ეფექტიანი რეფერირება და ა.შ.

მუნიციპალიტეტებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ძალისხმევა მულტიდისციპლინური მიდგომით უნდა განხორციელდეს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ეფექტიანი კოორდინაციისა და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. ძალადობაგანცდილ პირთა მხარდაჭერი პროგრამის შემუშავება და დანერგვა;
2. კვარტალური შეხვედრების ორგანიზება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერების მიზნით;
3. წელიწადში არანაკლებ სამი საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება მოსახლეობასთან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მათ შორის მსხვერპლთათვის არსებულ მომსახურებებზე (თავშესაფრები, კრიზისული ცენტრი, ცხელი ხაზი);
4. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ორგანიზება.

⁹ იხ. სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა.

¹⁰ საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/03/the-national-study-on-violence-against-women-in-georgia>

¹¹ გუბა, ტ.პ., ტვილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ. (2018). „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში“ - თვისებრივი კვლევის საბოლოო ანგარიში. თბილისი, საქართველო და ვაშინგტონის ოლქი, აშშ; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, Promundo-US, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).

4.3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საკვანძო საკითხია როგორც გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიღწევისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა მთავრობებმა მუნიციპალიტეტებთან არსებული ეკონომიკური განვითარების/გაძლიერების პროგრამებში ქალთა თანაბარი მონაწილეობა უზრუნველყონ. მათ შორის, ქალების ხელმისაწვდომობა პროფესიული გადამზადებისა და უნარ-ჩვევების განვითარების სხვადასხვა პროგრამებზე.

ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ზრუნვის ანუ საოჯახო საქმის ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის, ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრუნვის მომსახურების შექმნა/გაუმჯობესება და არსებულ მომსახურებებზე (მათ შორის ბალებზე) ხელმისაწვდომობისა და მათი სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა.

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერი ადგილობრივი პროგრამის შემუშავება და დანერგვა;
2. საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
3. კამპანიების განხორციელება აუნაზღაურებელი შრომის თანაბრად გადანაწილების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის კაცების ჩართულობის გაზრდის მიზნით.

4.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ლოკალიზაციისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა ხელი შეუწყონ ადგილობრივ დონეზე დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების გაძლიერების სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავებას. სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასების ანგარიშის მიხედვით, გამოწვევად რჩება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის, სოციალურ თუ იურიდიულ მომსახურებებზე. გარდა ამისა, სახალხო დამცველის 2020 წლის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის მიხედვით, „მუნიციპალიტეტებში გამართულ შეხვედრებსა თუ სოფლის კრებებში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები ნაკლებად მონაწილეობენ.“, შესაბამისად, დაბალია დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მონაწილეობა პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელების პროცესებში, რაც მათი საჭიროებების ეფექტიან გათვალისწინებას გამორიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში. მნიშვნელოვანია, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა ცხოვრობს, შემუშავდეს ამ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიები და ისინი გენდერული თანასწორობის მუნიციპალურ სამოქმედო გეგმებსა და მუნიციპალურ პროგრამებში აისახოს¹².

ბული ქალებისა და გოგოების გაძლიერების სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავებას. სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასების ანგარიშის მიხედვით, გამოწვევად რჩება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის, სოციალურ თუ იურიდიულ მომსახურებებზე. გარდა ამისა, სახალხო დამცველის 2020 წლის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის მიხედვით, „მუნიციპალიტეტებში გამართულ შეხვედრებსა თუ სოფლის კრებებში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები ნაკლებად მონაწილეობენ.“, შესაბამისად, დაბალია დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მონაწილეობა პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელების პროცესებში, რაც მათი საჭიროებების ეფექტიან გათვალისწინებას გამორიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში. მნიშვნელოვანია, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა ცხოვრობს, შემუშავდეს ამ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიები და ისინი გენდერული თანასწორობის მუნიციპალურ სამოქმედო გეგმებსა და მუნიციპალურ პროგრამებში აისახოს¹².

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. წლიურად არანაკლებ სამჯერ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მცხოვრებ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან;
2. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და გოგოების საჭიროებების შესწავლა/ ინფორმაციის განახლება.

¹² მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2018-2019 წლებში საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში წარმართა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ლოკალიზაციის საპილოტე პროცესი (შერჩეული მუნიციპალიტეტები იყო: დუშეთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, საჩხერე, სტეფანწმინდა, წალენჯიხა, წყალტუბო, ზუგდიდი). სასურველია, აღინიშნულ მუნიციპალიტეტებში ლოკალიზაციის კუთხით მიღებული გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, რაც მათ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარება. მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/02/georgia-moves-forward-with-localization-of-national-action-plan>

4.5 გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება

მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საქმიანობაში გენდერული მენისტრიმინგის, ანუ გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებაა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში და კომუნიკაციის პლატფორმებში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება, გენდერული თანასწორობის გენდერული საბჭოების ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა, თანამშრომლების გადამზადება, სექსუალური შვიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ მექანიზმებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებაა ეფექტიანი მუშაობისთვის.

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. წელიწადში არანაკლებ სამჯერ, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა ტრენინგი გენდერული თანასწორობის, გენდერული მენისტრიმინგის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;
2. საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფის შექმნა, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
3. სექსუალური შვიწროების შესახებ ონლაინ კურსის გავრცელება და მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ ამ კურსის გავლა.

4.6 გენდერული ბიუჯეტირება

გენდერული ბიუჯეტირება გენდერული მენისტრიმინგის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი და გენდერული თანასწორობის მიღწევის მნიშვნე-

ლოვანი მეთოდოლოგიაა. აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებმა დანერგონ გენდერული ბიუჯეტირების პრინციპები, რაც მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტების განსაზღვრას გულისხმობს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს სათემო შეხვედრებში ქალებისა და გოგოების ჩართულობა; ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქალებისა და გოგოების მიერ გაყდრებული საკითხები ბიუჯეტის პრიორიტეტებში აისახოს.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ბიუჯეტირებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების გადამზადება გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად.

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მინიმუმ 3 საკონსულტაციო შეხვედრის გამართვა ქალებთან და გოგოებთან;
2. მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადამზადება გენდერული ბიუჯეტირების საკითხებში.

4.7 გენდერული მონაცემები

გენდერული თანასწორობის ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელია გენდერულად მგრძობიარე მონაცემები და სტატისტიკა. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტები სისტემატურად აგროვებდნენ როგორც თვისებრივ, ისე სტატისტიკურ მონაცემებს გენდერულ ჭრილში. არანაკლებ მნიშვნელოვანია გენდერული მონაცემების სისტემატური ანალიზი და გამოყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესაქმნელად.

საქართველოში ადგილობრივ დონებზე გენდერულ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა სწორად სახელდება პრობლემურ თემად. სტატისტიკური მონაცემების მოპოვების წყაროებია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მუნიციპალიტეტში არსებული ადმინისტრაციული

მონაცემები, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სპეციალიზებული კვლევები. რაოდენობრივთან ერთად, მნიშვნელოვანია, თვისებრივი მონაცემების შეგროვებაც, რაც შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან რეგულარული შეხვედრებითა და კონსულტაციებით მოხდეს.

თემატური აქტივობების მაგალითები:

3. მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
4. გენდერული მონაცემების განთავსება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში შესაგროვებელი გენდერული მონაცემები. მაგალითები:

1. მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ბენეფიციართა გენდერული თანაფარდობა;
2. სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე, სკოლისა და პროფესიულ სასწავლებელთა დირექტორების, აღმზრდელების/პედაგოგების გენდერული თანაფარდობა;
3. ქალთა წარმომადგენლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოში (საკრებულოს წევრი ქალების რიცხობრივი რაოდენობა და პროცენტული წილი საკრებულოს წევრებს შორის, საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეთა შორის ქალთა პროცენტული წილი, კომისიის თავმჯდომარეთა შორის ქალთა პროცენტული რაოდენობა);
4. მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ქალებისა და კაცების პროცენტული თანაფარდობა;
5. თანამშრომელთა გენდერულად დაყოფილი მონაცემები თანამდებობრივი პოზიციების მიხედვით.

4.8 თანამშრომლობა და კოორდინაცია

ერთიანი, საჭიროებებზე მორგებული და ეფექტიანი გენდერული პოლიტიკის განხორციელებისთვის ყველა დონეზე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის მექანიზმებს შორის მუნიციპალიტეტში, სხვა მუნიციპალიტეტებთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ასევე ამ თემებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით კი, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების ეროვნულ კანონმდებლობასთან და პოლიტიკასთან ჰარმონიზაციისთვის მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ეროვნულ ინსტიტუციურ მექანიზმებთან თანამშრომლობა. ასეთი მექანიზმებია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია და სახალხო დამცველი.

მუნიციპალიტეტებს შორის საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის მიზნით, რეკომენდებულია, ასევე, რეგულარული შეხვედრები და კოორდინაცია მუნიციპალიტეტებს შორის. ასეთი კოორდინაციის მნიშვნელოვანი მექანიზმია ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია (ათეა), რომელსაც შეუძლია, დიდი როლი შეასრულოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერებაში.

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მონაწილობითი პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი, გენდერულ თანასწორობაზე და ქალთა გაძლიერებაზე მომუშავე ორგანიზაციებთან. ეს, შეიძლება, განხორციელდეს რეგულარული შეხვედრებისა და კონსულტაციების გზით როგორც სამოქმედო გეგმების შემუშავების, ისე მათი განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპებზე.

თემატური აქტივობების მაგალითები:

1. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის;
2. კვარტალური საკოორდინაციო შეხვედრების გამართვა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

5. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება

რეკომენდაციები:

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს მუნიციპალიტეტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო ასრულებს;
- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი უნდა ხდებოდეს კვარტალურად, ხოლო მონიტორინგის ანგარიში ყოველწლიურად უნდა მზადდებოდეს;
- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შესახებ ანგარიში უნდა წარედგინებოდეს როგორც საკრებულოს, ისე საჯაროდ.

მონიტორინგი და შეფასება საჯარო პოლიტიკის ციკლის განუყოფელი ნაწილია. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება დაგეგმარებისა და შესაბამისად, პოლიტიკის შედეგების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია, რომ

გენდერული თანასწორობის საბჭო გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შესრულების რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებდეს. მონიტორინგის განმახორციელებელი ერთეულის პასუხისმგებლობაა გეგმის პროგრესის ინდიკატორებზე მონაცემების რეგულარული შეგროვება და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი კვარტალურად უნდა ხდებოდეს, თუმცა სასურველია, რომ მონიტორინგის ანგარიში წელიწადში ერთხელ მაინც მომზადდეს და განიხილოს.

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენა საჭიროა ყოველწლიურად. სასურველია, რომ ანგარიშის მოსმენა საკრებულოს სხდომის ფარგლებში მოხდეს; ასევე სასურველია, ანგარიშის საჯაროდ წარდგენაც, რომელშიც მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესებული წარმომადგენლებიც მიიღებენ; სასურველია, აგრეთვე, რომ ანგარიშები მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე განთავსდეს და ყველა დაინტერესებული პირისთვის იყოს ხელმისაწვდომი; ასევე, ანგარიშების განთავსება სასურველია ათეა-ს ვებგვერდზეც და/ან მათი წარდგენა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პროგრესის შესახებ ათეა-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე.

დანართი 1. სიტუაციის ანალიზის ფოკუსური დისკუსიის ჰედიზის ფასილიტაციის გზამკვლევის ნიმუში

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დამხმარე ჩარჩო დოკუმენტს მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით დაგეგმილი სამუშაო პროცესის ფარგლებში ფოკუს ჯგუფების შექმნის, შემადგენლობის განსაზღვრის, სფეროსა და კომპეტენციის დამდგენ ინსტრუმენტს. ფოკუსური ჯგუფების შექმნის მიზანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, წინასწარ განსაზღვრულ მიმართულებებზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მუნიციპალიტეტში არსებული ინფორმაციის მოპოვებაა.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი სამ ფაზად იყოფა: *სიტუაციის ანალიზი, სტრატეგიული და ოპერაციული ნაწილები.*

ინკლუზიური პროცესის უზრუნველსაყოფად, რომელიც, თავის მხრივ, აძლიერებს პოლიტიკის ლეგიტიმაციას, მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავების თითოეულ ფაზაში დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა გავითვალისწინოთ, მათ შორის როგორც ადგილობრივი სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა.

პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა ყველა ეტაპზე რეკომენდებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი დოკუმენტის საბოლოო პროექტის საჯარო კონსულტაციების გზით ფართო საზოგადოებისთვის გაცნობაა. ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პირველ ორ ეტაპზე (სიტუაციის ანალიზი და სტრატეგიული ნაწილი) მნიშვნელოვანია ფოკუს ჯგუფების შეხვედრების ჩატარება, ხოლო სამოქმედო გეგმის პროექტის გაცნობა, სასურველია, საჯარო კონსულტაციების საშუალებით მოხდეს. მსგავსი მიდგომით მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმოება.

სამუშაო ჯგუფის მიერ, პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია სიტუაციის გაანალიზება.

სიტუაციის ანალიზი

ფოკუს ჯგუფის დასახელება: გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ანალიზი

ფოკუს ჯგუფის შემადგენლობა:

1. მუნიციპალიტეტში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებით, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები;
2. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მუნიციპალიტეტში და/ან რეგიონში მუშაობენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე;
3. მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მუშაობენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე (მაგ. სკოლა, პოლიცია, სოციალური სამსახურები, იურიდიული დახმარების ცენტრე-

ბი, სახელმწიფო თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები ძალადობის მსხვერპლებისთვის);

4. თემის ლიდერები, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები - ქალები, კაცები, ბიჭები და გოგონები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებიდან.

სამუშაო თემატიკა: გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები:

1. ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში
2. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება
4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება
5. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება
6. გენდერული ბიუჯეტირება
7. გენდერული მონაცემები
8. თანამშრომლობა და კოორდინაცია

ზოგადი/შესავალი კითხვა:

- თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა და რატომ?

კითხვები მიმართულებების მიხედვით:

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

- თქვენი აზრით, რამდენად არის უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში ქალთა მონაწილეობა და ჩართულობა სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- დაასახელეთ 2-3 ძირითადი პრობლემა, რაც ამ ეტაპზე არსებობს მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის მიმართულებით (მათ შორის, შშმ ქალების მონაწილეობით);
- როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა? რა ტიპის სამუშაოა ჩასატარებელი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად? (აქტივობების შემოთავაზება).

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

- დაასახელეთ 2-3 ძირითადი პრობლემა, რაც მუნიციპალიტეტში არსებობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე; რა ინვესს ამ პრობლემებს? ძირითადად, ვინ აწყდება მათ?
- დაასახელეთ კონკრეტული ღონისძიებები/აქტივობები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის: 1) რეაგირების მიზნით; 2) აღმოსაფხვრელად; 3) პრევენციისთვის.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

- დაასახელეთ 2-3 ძირითადი პრობლემა, რაც ამ ეტაპზე არსებობს მუნიციპალიტეტში ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის მიმართულებით; რა ინვესს ამ პრობლემებს? ძირითადად, ვინ აწყდება მათ?
- რა ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელოს მუნიციპალიტეტმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის? (ღონისძიებების/აქტივობების შემოთავაზება).

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე

(ეს თემატური მიმართულება რელიგვანტურია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობით დასახლებული და გამყოფი ხაზის პირას არსებული მუნიციპალიტეტებისთვის)

- დაასახელეთ 2-3 ძირითადი პრობლემა, რაც ამ ეტაპზე არსებობს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის; რა ინვესს ამ პრობლემებს?
- რა ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების განსაკუთრებული საჭიროებების საპასუხოდ? (ღონისძიებების/აქტივობების შემოთავაზება).

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება

- როგორ შეაფასებდით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერზე პასუხისმგებელი პირის მუშაობას?
- დაასახელეთ 2-3 ძირითადი პრობლემა, რომლებიც ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებასთან მიმართებით არსებობს მუნიციპალიტეტში;
- რა ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელდეს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გასაძლიერებლად? (ღონისძიებების/აქტივობების შემოთავაზება).

გენდერული ბიუჯეტირება

- რამდენად არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქალებისა და გოგოების საჭიროებები და პრიორიტეტები?
- რამდენად არიან ქალები და გოგოები ჩართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრაში?
- რა ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელდეს მუნიციპალიტეტში აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად? (ღონისძიებების/აქტივობების შემოთავაზება)

გენდერული მონაცემები

- როგორ შეაფასებდით მუნიციპალიტეტში გენდერული მონაცემების შეგროვებისა და გასაჯაროების პროცესს?
- დაასახელეთ მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი პრობლემები გენდერული მონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;

- რა ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელდეს მუნიციპალიტეტში გენდერული მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად? (ღონისძიებების/აქტივობების შემოთავაზება).

თანამშრომლობა და კოორდინაცია

- როგორ შეაფასებდით მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კუთხით თანამშრომლობისა და კოორდინაციის პროცესს? (გთხოვთ შეაფასოთ როგორც შიდა ინსტიტუციური თანამშრომლობა, ასევე გარე აქტორების მონაწილეობა);
- დაასახელეთ მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი პრობლემები გენდერულ პოლიტიკასთან მიმართებით არსებულ თანამშრომლობა-კოორდინაციაზე;
- რა ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელდეს თანამშრომლობისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად? (ღონისძიებების/აქტივობების შემოთავაზება).

დასკვნითი კითხვა: გთხოვთ, დაასახელოთ პრიორიტეტები, რომელიც, თქვენი აზრით, აუცილებლად უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში.

დანართი 2: სამოუხედო გეგმის ნიმუში

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მიზანი 1. გავლენის ინდიკატორი 1. საბაზისო: სამიზნე:	ამოცანა 1.1.	ამოცანის ინდიკატორი 1.1.1.	საქმიანობა 1.1.1.					
		საბაზისო: სამიზნე:	საქმიანობა 1.1.2.					
		ამოცანის ინდიკატორი 1.1.2.	საქმიანობა 1.1.3.					
		საბაზისო: სამიზნე:	საქმიანობა 1.1.4.					
მიზანი 2. გავლენის ინდიკატორი 2. საბაზისო: სამიზნე:	ამოცანა 1.2.	ამოცანის ინდიკატორი 1.2.1.	საქმიანობა 1.2.1.					
		საბაზისო: სამიზნე:	საქმიანობა 1.2.2.					
		ამოცანის ინდიკატორი 1.2.2.	საქმიანობა 1.2.3.					
		საბაზისო: სამიზნე:	საქმიანობა 1.2.4.					